ხაშურის მოამბე

№18 (269) 17 აგვისტო, ორშაბათი, 2020 წელი

მოქალაქეებზე ზრუნვისა და მათი სოციალური მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს მთავრობამ ანტიკრიზისული გეგმის შემდგომი - III ეტაპი შეიმუშავა

StopCov ფონდში საქართველოს მოქალაქეებთან,ბიძინა ივანიშვილთან და ბიზნესთან ერთად ფინანსების მობილიზების შედეგად, ოჯახების და მათი შვილების დასახმარებლად შემუშავებულია ახალი სოციალური პაკეტი - 17 წლის ასაკის ჩათვლით თითოეულ ბავშვზე გაიცემა 200-ლარიანი დახმარება.

კომუნალური გადასახადების მხარდაჭერის პროგრამა გაგრძელდება ზამთარშიც - 4 თვის განმავლობაში - ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი და თებერვალი - დაფინანსებას მიიღებს ყველა ის ოჯახი, რომელიც მოიხმარს 200 კვ. საათამდე ელექტროენერგიას და 200 მ3-მდე ბუნებრივ აირს.

80 000-მდე თვითდასაქმებული, ვინც ვერ წარმოადგინა სრულყოფილი დოკუმენტაცია, მაინც მიიღებს 300-ლარიან კომპენსაციას სექტემბრის დასაწყისამდე (170 000-ზე მეტმა თვითდასაქმებულმა დახმარება უკვე მიიღო).

150 000-მდე სოციალური ქულის მქონე სტუდენტებს დაუფინანსდებათ ნახევარი წლის (2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის) სწავლის საფასური - 1125 ლარი, ხოლო 150 000-მდე სოციალური ქულის მქონე სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს დაუფინანსდებათ 1 წლის (2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულისა და 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის) სწავლის საფასური - 2250 ლარი.

აღსანიშნავია, რომ პანდემიის დასაწყისიდანვე სახელმწიფომ ორი მთავარი მიზანი დაისახა - ზრუნვა ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და ზრუნვა მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

პირველივე ეტაპზე, გადაუდებელი ღონისძიებების სახით, დაახლოებით, 1.2 მლნ ოჯახს დაუფინანსდა 3 თვის კომუნალური გადასახადი, 600 ათას მოქალაქეს გადაუვადდა კომერციული სესხების გადასახადი, ხოლო ტურიზმის სექტორის კომპანიებს გადაუვადდათ საშემოსავლო და ქონების გადასახადი და სხვ.

ანტიკრიზისული გეგმის მე-2 ეტაპი მოიცავდა კონკრეტულ დახმარებებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფისათვის, მათ შორის 1200-ლარიანი დახმარება მიიღეს მათ, ვინც დაკარგეს სამსახური, 300-ლარიანი კომპენ-

საციის გაცემა დაიწყო თვითდასაქმებულებისათვის, ასევე კომპენსაციები (6 თვის განმავლობაში - 100 ლარი ყოველთვიურად) მიიღო სხვადასხვა მოწყვლადმა ჯგუფმა: შშმ პირები და შშმ ბავშვები, მრავალშვილიანი ოჯახები და სხვ.

დღეის მდგომარეობით სხვადასხვა სახის კომპენსაცია მიიღო 560 ათასზე მეტმა მოქალაქემ და კომპენსაციების გაცემა ჯერ კიდევ გრძელდება.

ასევე, აქტიურად ხორციელდება მიზნობრივი მხარდაჭერის ანტიკრიზისული პროგრამები ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და დეველოპერულ სექტორებში, რაც ხელს უწყობს დარგების კრიზისიდან სწრაფად გამოსვლას.

ხაშურის შემოვლითი გზა აგვისტოს მეორე ნახევარში გაიხსნება

აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E60-ის) შემადგენელი, ზემო ოსიაური-ჩუმათეთელის პროექტის ფარგლებში, ხაშურის შემოვლითი გზის მშენებლობა დასრულების ეტაპზეა. აგვისტოს მეორე ნახევარში, ხაშურს ოთხზოლიანი ცემენტ-ბეტონის მაგისტრალური შემოვლითი გზა ექნება.

ხაშურის შემოვლითი გზის მშენებლობა, ხელშეკრულების შესაბამისად, 31 ივლისს უნდა დასრულებულიყო, თუმცა, კორონავირუსის პანდემიის გამო შექმნილი გარემოების გათვალისწინებით კონტარქტორს დასრულების ვადად მიმდინარე წლის ოქტომბერი განესაზღვრა.

აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმავალი ავტოტრანსპორტის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის ხაშურის შემოვლითი გზის მნიშვნელობის გათვალისწინებით, აგვისტოს ბოლოს, ამ გზის 13 კმ-იანი მონაკვეთიდან 11.5 კმ-ზე გაიხსნება 4 ზოლიანი გზა, ხოლო დარჩენილი 1.5 კმ დროებით იქნება 2 ზოლიანი. დარჩენილ 1.5 კმ გზაზე დამატებითი 2 ზოლის მშენებლობა ოქტომბერში დასრულდება და ხაშურის შემოვლითი გზის 13-ვე კილომეტრი 4 ზოლიანი იქნება.

ხაშურის შემოვლითი გზა აგარა-ზემო ოსიაურის ბოლო მონაკვეთზე იწყება და სურამში მოწყობილ ახალ კვანძთან დაუერთდება არსებულ გზას. ამ მონაკვეთზე აშენდა 420 მეტრიანი ხიდი, რომელიც საქართველოში ყველაზე მაღალი ბურჯებით გამოირჩევა.

ხაშურის შემოვლითი გზა, ზემო ოსიაური–ჩუმათელეთის გზის ნაწილია და ორივე მონაკვეთის დასრულების შემდეგ, გზა რიკოთის საუღელტეხილო გვირაბამდე მივა. ამ გზით გვერდს ავუვლით ხაშურს, სურამს და ჩუმათელეთს. პროექტის ფარგლებში, საერთო ჯამში აშენდება 4 ზოლიანი ცემენტ-ბეტონის გზა, 21 ხიდი, 5 გვირაბი, რკინა-ბეტონის მიწისქვეშა გასასვლელები, წყალგამტარი მილები და სადრენაჟე სისტემები.

რაც შეეხება ზემო ოსიაური–ჩუმათელეთის გზის მეორე მონაკვეთის 6.4 კმ-იანი გზის მშენებლობას, ამჟამად მიმდინარეობს სატენდერო წინადადებების შერჩევა-შეფასების პროცესი.

ზემო ოსიაური–ჩუმათელეთის მონაკვეთი, ქვეყნის მთავარი სატრანზიტო ავტომაგისტრალის შემადგენელი ნაწილია და ამ მონაკვეთის ექსპლუატაციაში შესვლით გაიზრდება ჩქაროსნული გზის გამტარუნარიანობა, ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების დონე და შემცირდება მგზავრობის დრო.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 დეკემბრის № 32 დადგენილებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით 2020 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 16 852,3 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის სახით ირიცხებოდა 2 239.7 ათასი ლარი,

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების საფუძველზე განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და, 2020 წლის 1 ივლისის მდგომარეობით 2020 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 27 134,2 ათასი ლარით, რაც 10 281,9 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2020 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, შემოსულობების საკასო შესრულებამ 10 565,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 80,8%, ხოლო წლიური გეგმის 40,43%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების გეგმის შესრულებას, ცალკეული სახეობების მიხედვით, შემდეგნაირად გადანაწილდა:

შესაბამისი პერიოდის გეგმასთან მიმართებაში გადასახადების გეგმა შესრულდა - 79,49%-ით (5 973,9 ათასი ლარი), მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი - 77,6%-ით, საწარმოთა ქონების გადასახადი - 115,6%-ით, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 55%-ით, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი - 37%-ით, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი - 5,39%-ით.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა - 56,5%-ით (423,1 ათასი ლარი), მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 55,96%-ით, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - 71,2%-ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 44,9%-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან - 51,45%-ით, შემოსავალი მიწის იჯარიდან –77,5%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა – 28,4%-ით.

2020 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, შემოსულობების საერთო ოდენობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხვედრითი წილი შეადგენს 37,9%-ს (1 801,5 ათას ლარს), „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გათვალისწინებულია- 225,0 ათასი ლარი, მიღებულია – 112,8 ათასი ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის №2630 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 6 223 609 ათასი ლარი ინფრასტუქტურული პროექტების განსახორციელებლად, კერძოდ, აღნიშნული განკარგულებით, გათვალისწინებულია ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობის და ქსელის , სოფელ მცხეთიჯვრიდან სოფელ წაღვლამდე გზის მოასფალტება, დაბა სურამში გოგებაშვილის ქუჩის მოასფალტება, დაბა სურამში ნინოშვილის ქუჩის მოასფალტება, დაბა სურამში ტალახაძის ქუჩის მოასფალტება,სოფელ მიწობში გზის მოასფალტება,დაბა სურამში მშვიდობის ქუჩის მოასფალტება, დაბა სურამში ჭონქაძის ქუჩის მოასფალტება,სოფელ ჩორჩანაში – გზის საფარის მოწყობა, სოფელ ქვემო აძვისში – გზის მოასფალტება.

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 მარტის 551 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 137 101 ლარი სოფელ ჩორჩანამდე მისასვლელი გზის მოასფლატებისთვის.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 მარტის 558 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის 45 განკარგულების საფუძველზე, გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 71 984 ლარისა და„ ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის 554 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 3 630 ლარის ჯამიდან - 75 614 ლარიდან - 40 000 ლარი მიიმართოს სოფელ ნაბახტევში მინისტადიონის მოსაწყობად ხოლო 35614 ლარი მიიმართოს მცხეთიჯვარშო მინისტადიონის მოსაწყობად.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებემოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის 27 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 910 000 ლარი, ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის, ხოლო ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად 136 835 ლარი.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის 2752 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 844 000 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

2020 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, გადასახდელების საკასო შესრულებამ 8 738,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 64,4%-ს შეადგენს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ექვსი თვის განმავლობაში გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების გეგმის შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება -84,3% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 23,85%), თავდაცვა - 89,9% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 1,05%), ეკონომიკური საქმიანობა - 59% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 9,78%), გარემოს დაცვა -71% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 11,2%), საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 56% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 9,78%), ჯანმრთელობის დაცვა - 100% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,9%), დასვენება, კულტურა და რელიგია -48% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 19,65%), განათლება - 66% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 20,84%), სოციალური დაცვა - 120% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში 13,32%, ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში შემდეგნაირად შესრულდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები - 83,4%-ით, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯები-66,27%-ით, სუბსიდიები-88%-ით, გრანტები-24,7%-ით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 124%-ით, სხვა ხარჯები - 134%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 46.7%-ით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 16 დეკემბრის №32 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 113,3 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართებლივი აქტების საფუძველზე. 2020 წლის 1 ივლისის მდგომარეობით სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებულია შემდეგი ღონისძიებები:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 20 თებერვლის 416 ბრძანებით - ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი ოჯახისათვის დაზიანებული სახურავის შესაკეთებლად მასალების შესყიდვის მიზნით – 12 208,6 ლარი;

2. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 16 მარტის 631 ბრძანებით - ახალი კორონა ვირუსის (კოვიდ-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, უფასო სასადილოთი მოსარგებლე ბენეფიციარების ბინაზე უფასო კვებით უზრუნველყოფისათვის 1368 ლარი;

3. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 18 მარტის 653 ბრძანებით - ახალი კორონა ვირუსის (კოვიდ-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით ხაშურის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების და მერიის დაქვემდებარებულ ა(ა)იპ-ების შეუფერხებელი მუშაობისათვის სამედიცინო აპარატურისა და ნივთების შესყიდვის მიზნით – 800 ლარი;

4. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 26 მარტის 683 ბრძანებით - ახალი კორონა ვირუსის (კოვიდ-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის და განსაკუთრებულ ღონისძიებათა გატარების მიზნით, სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებისათვის სპეციალური სადეზინფექციო აპარატურის, არჭურვილობის და მასალების შესყიდვის მიზნით – 1364 ლარი;

5. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის აპრილის 742 ბრძანებით - ახალი კორონავირუსის (კოვიდ-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის და განსაკუთრებულ ღონისძიებათა გატარების მიზნით, სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებისათვის სპეციალური სადეზინფექციო კონცენტრირებული ხსნარის შესყიდვისთვის მიზნით – 4000 ლარი;

6. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 15 აპრილის 765 ბრძანებით - ახალი კორონავირუსის (კოვიდ-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, უფასო სასადილოთი მოსარგებლე ბენეფიციარების ბინაზე უფასო კვებით უზრუნველყოფისათვის – 1368 ლარი;

7. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 15 აპრილის 765 ბრძანებით - ახალი კორონავირუსის (კოვიდ-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისათვის სხვადასხვა საკვები პროდუქტების შესყიდვის უზრუნველსაყოფად 80 000 ლარი;

8. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 15 მაისის 849 ბრძანებით - ახალი კორონავირუსის (კოვიდ-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით უფასო სასადილოთი მოსარგებლე ბენეფიციარების ბინაზე უფასო კვებით უზრუნველყოფისათვის – 140 ლარი;

9. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 27 მაისის 898 ბრძანებით - ახალი კორონავირუსის (კოვიდ-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, უფასო სასადილოთი მოსარგებლე ბენეფიციარების ბინაზე უფასო კვებით უზრუნველყოფისათვის – 40 ლარი;

10. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 2 ივნისის 928 ბრძანებით - ახალი კორონავირუსის (კოვიდ-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე გაწეული საქმიანობისთვის, ეპიდემიური საფრთხის შემცირების გათვალისწინებით, მაღალი პროფესიონალიზმიდან და სამოქალაქო პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ექიმ დავით ჩიქოვანის დაჯილდოვების მიზნით –1175 ლარი.

ლელა მაჭარაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი

სოფელ ქვემო აძვისში გზის მოასფალტების პროექტი ხორციელდება

სამუშაოების მიმდინარეობა ადგილზე დაათვალიერეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ ჯანაშვილმა და ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების ხელმძღვანელმა გიორგი პაპიაშვილმა.

„ამ ეტაპზე გზის ნაწილი უკვე დასრულებულია, გაკეთებულია სანიაღვრე არხები, ნაწილზე კი მიმდინარეობს მოხრეშვითი სამუშაოები ასფალტის საფარის დასაგებად. მოვისმინეთ ადგილობრივი მოსახლეობის შეფასებებიც მიმდინარე პროექტთან დაკავშირებით და სასიხარულოა, რომ სამუშაოები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მათ საყოფაცხოვრებო პირობებს“-აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა.

სოფელ ქვემო აძვისში გზის მოასფალტების პროექტი თანადაფინანსებით ხორციელდება. მისი ღირებულება 905 847 ლარია.

პროექტის დასრულების შემდეგ, მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურით 400-ზე მეტი ადგილობრივი და სოფლის სტუმარი ისარგებლებს.

ა(ა)იპ “ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის” 2020 წლის 6 თვის შესრულებული სამუშაოს ანგარიში

ა(ა)იპ “ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი” დაფუძნდა 2010წლის 24 დეკემერს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №163 განკარგულების საფუძველზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 დეკემბრის №122 განკარგულებიდან გამომდინარე დაევალა ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის 2020წლის მუნიციპალური პროგრამის განხორციელება.

გამომდინარე მსოფლიო პანდემიიდან და საქართველოში შექმნილი ეპიდსიტუაციიდან, მოხდა გარკვეული ღონისძიებების შეჩერება:

ჰელმინთოზების გამოვლენის მიზნით გამოკვლეული იქნა მხოლოდ 3 საბავშვო ბაგა ბაღის 263 აღსაზრდელი. ინვიზირებული აღმოჩნდა 32 (21-ენტერებიუსით, 11 ასკარიდოზით). ინვიზირებულ პაციენტებსა და მათი ოჯახის წევრებს ჩაუტარდათ ექიმ პარაზიტოლოგის კონსულტაცია და დაენიშნათ მკურნალობა, გაიცა მედიკამენტები უსასყიდლოდ. (მებენდაზოლი).

ცხოველების მიერ დაზარალებულ პირთა რაოდენობა საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 376 მ.შ. 218-პატრონიანი და 158--მოხეტიალე ცხოველით. ყველა მათგანს ჩაუტარდა ანტირაბიული აცრების შესაბამისი კურსი. გაიხარჯა 1157 დოზა ვაქცინა და 39 იმუნოგლობულინი. ყველა შემთხვევა ეცნობა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ადგილობრივ სამსახურს ცხოველებში ეპიდკვლევების ჩასატარებლად. საანგარიშო პერიოდში ანტირაბიული კაბინეტი მომარაგებული იყო ანტირაბიული ვაქცინისა და იმუნოგლობულინის საკმარისი რაოდენობით, ასევე ადგილზე გვაქვს სპეციფიკური შრატების და ვაქცინების სტრატეგიული მარაგები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, აღნიშნულ პერიოდში, ეპიდსიტუაცია დამაკმაყოფილებელია. დაფიქსირდა შემდეგი ინფექციები: ყივანახველა-1 (2019-1), წითელა—1(23), ჰეპატიტი „ბ”- 3 (23) (1 ორსული), ჰეპატიტი „ც”-26(2019-106) ქუნთრუშა-1(2019-12), ჩუტყვავილა-4(141). სავარაუდო დიარეული დაავადება-95 (222) ნოზოკომიური პნევმონია-4(2019-2), ტუბერკულოზი 8 (23). ყველა შემთხვევა შეტანილია “დეიზის” სპეციალურ ბაზაში. ჩატარებულია ეპიდემიოლოგიურ კვლევები ბრძანება №55/ო-ს შესაბამისად.

2020 წლის ამ პერიოდში რაიონის ტერიტორიაზე ვაქცინაცია მიმდინარეობდა “ცივი ჯაჭვის” წესების სრული დაცვით. მოცვის მაჩვენებლები შემდეგია პანდემიის გამო შედარებით დაბალია : წწყ-1 (1წლ.)—52.6%; წწყ-2—39.8%; პაპილლომა ვირუსის საწ.—5.4%ჰექსა—44..3% პოლიო5-33.8%; დტ-5—31.1%; ტდ-14---26.4%; ბცჟ—100% (შემცირდა შობადობის გადინების ხარჯზე,რის გამოც სამეანო განყოფილება დაიხურა) გრძელდება წითელას საწინააღმდეგო კომპანია, არაგეგმიურად აიცრა. შემოტანილია ვაქცინების საჭირო მარაგი.

მიმდინარეობდა მონიტორინგი თამბაქოს კანონის აღსრულებასთან დაკავშირებით, იანვარ თებერვალში შემოწმდა: 6 სამედიცინო დაწესებულება, 6 სკოლა, 18 კაფე-რესტორანი, 39 სავაჭრო ობიექტი, 20 ავტოტრანსპორტი, 6 სილამაზის სალონი, 6 საჯარო დაწესებულება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე,აღნიშნულ პერიოდში,ეპიდსიტუაცია დამაკმაყოფილებელია. დაფიქსირდა შემდეგი ინფექციები: ყივანახვალა-1 (2019-1), წითელა—1(23), ჰეპატიტი „ბ”- 3 (23) (1 ორსული), ჰეპატიტი „ც”-26(2019-106) ქუნთრუშა-1(2019-12), ჩუტყვავილა-4(141). სავარაუდო დიარეული დაავადება-95 (222) ნოზოკომიური პნევმონია-4(2019-2), ტუბერკულოზი 8 (23). ყველა შემთხვევა შეტანილია “დეიზის” სპეციალურ ბაზაში. ჩატარებულია ეპიდემიოლოგიურ კვლევები ბრძანება №55/ო-ს შესაბამისად.

რაც შეეხება COVID-19 ინფექციას, რაიონში დაფიქსირდა ერთი შიდა გადადების შემთხვევა.

COVID-19 ინფექციის საწინააღმდეგოდ ცენტრის მიერ გატარებული ღონისძიებები ასეთი იყო:პირველი მონიტორინგი განხორციელდა ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოფუნქციონირე ჩინურ სამშენებლო კომპანიებში. კერძოდ: 1.ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბრიგადა; 2. ჩინეთის სახელმწიფი საინჟინრო-სამშენებლო კომპანია; 3.კომპანია ,,სინო-ჰიდრო“. ჩატარდა მონიტორინგი 28-29-31 იანვარს, განემარტათ მოქცევის წესები, დარიგდა ფლაერები და გაიკრა პლაკატები.

31 იანვარს, ჩინეთის სახელმწიფი საინჟინრო-სამშენებლო კომპანიაში ჩინეთიდან შემოვიდა 15 პირი, რომლებიც მოთავსდენ კომპანიის მიერ სპეციალურად მომზადებულ საკარანტინო ზონაში. აღნიშნული პირები 14 დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ ეპიდემიოლოგის კონტროლზე, პათოლოგიური სიმტომები არ გამოვლენილა. თებერვლის თვეში ასევე იზოლაციაში იმყოფებოდა ,,სინო-ჰიდროს) ორი თანამშრომელი.

2 მარტს, ხაშურის გორმედის კლინიკაში თვითდინებით შემოვიდა ორი ირანელი მძღოლი, ცხელებით. რომლებიც გადაყვანილი იქნა გორის სამხედრო ჰოსპიტალში (ანალიზით ვირუსი არ დადასტურდა). ჩატარდა ეპიდკვლევა. ხაშურის პოლიციის სამმართველოსთან ერთობლივად განხორციელდა იმ მცირე სასტუმროების და სასადილოების თანამშრომელთა თერმოსკრინინგი, რომლითაც საერთაშორისო გადაზიდვების მძღოლები სარგებლობენ. სკრინინგი ჩაუტარდათ ადგილზე მყოფ მძღოლებსაც. დროებით ფუნციონირება შეუჩერდათ აღნიშნულ დაწესებულებებს.

22 მარტს სოფ. ჩუმათელეთში მომუშავე სამშენებლო კომპანიაში 14 პიროვნება ჩამოვიდა მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებიდან. მოხდა მათი იზოლაცია. მთელ კონტაქტში მყოფ პერსონალს ჩაუტარდა თერმოსკრინინგი, ოფისში ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები. 22 მარტიდან 4 აპრილის ჩათვლით იზოლაციაში მყოფ პირებს ცენრტის თანამშრომლების მიერ უტარდებოდათ ყოველდღიური თერმოსკრინინგი (პათოლოგია არ გამოვლენილა).

12 აპრილს სოფ. ხიდისყურში დაფიქსირდა კორონავირუსის შემთხვევა (თბილისიდან აგარაკზე ჩამოსული პირი). მოხდა სოფლის ბლოკირება, ჩატარდა ეპიდკვლევა, გამოძახებული იქნა გორის რეგიონული ლაბორატორია, საეჭვო კონტაქტებზე აღებული იქნა ნაცხი და ისინი გადაყვანილი იქნა გორის სამხედრო ჰოსპიტალში., მათგან ერთს დაუდასტურდა კორონა ვირუსი, 12-ში ჩატარდა მთელი უბნის თერმოსკრინინგი. სოფელი გამოცხადდა საკარანტონო ზონად; 14-25 აპრილის პერიოდში ჩვენი ცენტრის მიერ მიმდინარეობდა ყოველდღიური თერმოსკრინინგი და მონიტორინგი (84--პირზე). პათოლოგიის ნიშნები არ გამოვლენილა.

02.05. თვითიზოლაციაზე აყვანილი იქნა 16 პირი, რომელთა ერთერთ ოჯახის წევრს თბილისში დაუდასტურდა კოვიდ-19. აღნიშნულ პირებს ჩაუტარდათ ტესტირება პროტოკოლის მიხედვით და პასუხები იყო უარყოფითი.

16.05. სურამის ერთ-ერთ საცხობში იმყოფებოდა პირი (სატვირთოს მძღოლი. შემოსული სომხეთიდან), რომელსაც შემდგომ დაუდასტურდა კოვიდ 19. საცხობის თანამშრომლები გადაყვანილი იყვნენ იზოლაციაზე, 14 დღის შემდეგ ჩაუტარდათ ტესტირება(უარყოფითი).რის შემდეგაც მოხდა საცხობის ფუნქციონირების აღდგენა.

12.06. თბილისის ერთერთ კლინიკაში დადასტურებული covid 19 შემთხვევის ოჯახის წევრები გადაყვანილი იყვნენ იზოლაციაზე მიმდინარეობდა ეპიდ.დაკვირვება . პროტოკოლის მიხედვით ორჯერ ჩაუტარდათ ტესტირება(, პასუხი უარყოფითია).

მთელი პერიოდის (1 ივნისამდე) განმავლობაში ეპიდდაკვირვება მიმდინარეობდა ხაშურში მცხოვრებ იმ მძღოლებზე ,რომლებიც ხშირად მოძრაობდნენ მეზობელ ქვეყნებში

იანვარ-ივნისის პერიოდში ხაშურში თვითიზოლაციაში იმყოფებოდა 200-ზე მეტი პირი.

აპრილის თვიდან დაიწყო მიზნობრივი ჯგუფების ,,PCR”-ტესტირება. (ტესტირება ჩაუტარდათ სასწრაფო დახმარების, ასევე კლინიკების მიმღებისა და რეანიმაციული განყოფილების მედპერსონალს, სოფლის ამბულატორიების პერსონალს, დიალიზის ბენეფიციარებს ,ფსიქიატრიულის მედპერსონალს. მიმდინარეობს შიდა საზ.ტრანსპორტის მძღოლების შსს განყოფილებების ტესტირება. 14 დღეში ერთხელ). სულ პსრ ტესტირება ჩაუტარდა 700 მეტ პირს, ყველა შედეგი უარყოფითია.

დ. ჩიქოვანი, ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი

ფინანსისტები ახალ რეგულაციებს ეცნობიან

6 აგვისტოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, საქართველოს ადგილობრივი ერთეულების ფინანსისტთა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, მერიის საბიუჯეტო სამსახურის წარმომადგენლებთან და ა(ა)იპ ორგანიზაციების ფინანსისტებთან შეხვედრა გამართეს.

„მომავალი წლიდან საბუღალტრო მიმართულებით, გარკვეული ცვლილებები იგეგმება, ჩვენი მიზანია ამ ცვლილებების არსში უკეთ გავარკვიოთ როგორც მერიის საბიუჯეტო სამსახურის, ასევე, მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მნიშვნელოვანია, რომ სიახლეებთან ერთად, განვიხილეთ 2019 წლის ბალანსი, რათა შედეგი ხარისხიანი იყოს“-განაცხადა ფინანსისტთა ორგანიზაციის ასოციაციის თავმჯდომარემ- დავით ხოსრუაშვილმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გამართულ შეხვედრას, ასოციაციის თავმჯდომარესთან ერთად, უძღვებოდნენ ასოციაციის ფინანსური დირექტორი ინგა ქურდოვანიძე და ექსპერტი-მალხაზ უჯარაშვილი.

ნამახტევში, მინისტადიონის მოწყობა დასრულებულია

„ მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. დასრულდა კიდევ ერთი-სოფელ ნაბახტევში მინისტადიონის მოწყობა, რომელიც უკვე აქტუალურია როგორც ადგილობრივი ბავშვებისთვის, ასევე დამსვენებლებისთვისაც“-აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა ნაბახტევის მინისტადიონის დათვალიერება-შეფასებისას.

მერთან ერთად, ადგილზე იმყოფებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი და მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი. მათი განმარტებით, პროექტი თანადაფინანსებით განხორციელდა და ღირებულებამ 75 638 ლარი შეადგინა.

სოფელ ნაბახტევში მოწყობილი მინისტადიონი, 400-ზე მეტ ადგილობრივსა თუ სოფლის სტუმარს მოემსახურება, რაც ჯანსაღი ცხოვრების წესს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

ხაშურის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს



ოსიაურის, ვაყის და ნაბახტევის სკოლებში იმყოფებოდნენ და სამუშაოებს ეცნობოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი. მათი განმარტებით, ოსიაურის საჯარო სკოლისთვის 43 679 ლარია გამოყოფილი, ვაყის საჯარო სკოლისთვის -52 507 ლარი, ხოლო ნაბახტევის საჯარო სკოლისთვის- 28 290 ლარი.

სკოლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები აგვისტოს ბოლოსთვის დასრულდება და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სასწავლო დაწესებულებებში ჰიგიენური ნორმების დაცვას.

ვის მივცეთ ხმა?

კომუნისტების მმართველობის პერიოდში ჩატარებული არჩევნები მახსენდება, ბაზარში გოჭის გამყიდველს ერთად-ერთი გოჭი რომ ჰყავდა გასაყიდი მყიდველებს კი მოუწოდებდა, აერჩიათ ტახი უნდოდათ თუ ნეზვი, ცოტა დიდი თუ ცოტა პატარა, მსუქანი თუ გამხდარი და ა.შ.

ხსენებულ პერიოდში, საარჩევნო ბიულეტენში მხოლოდ ერთი კანდიდატი იყო ხოლმე შემოთავაზებული და ამომრჩეველს უნდა აერჩია ვისთვის მიეცა ხმა, კომუნისტისათვის, კომკავშირელებისთვის, ქალისთვის თუ კაცისთვის, სტუდენტისათვის, ახალგაზრდისთვის თუ ასაკოვანი კანდიდატისათვის.

ახლა მეორე უკიდურესობაში აღმოვჩნდებით. შესაძლებელია საარჩევნო ბიულეტენში აღმოჩნდეს 200-მდე კანდიდატი, ანუ თითო კაცი მაინც თითო პარტია-მოძრაობიდან.

არჩევნები ახლოვდება და ვფიქრობ, ვის მივცე ხმა, სასწორზე ვდებ ორ განსხვავებულ ძალას. შენც ჩაფიქრდი, მკითხველო, და გაეცი პასუხი ქვემოთ კითხვებს, ანუ ვის მისცემ ხმას:

1. ომის დამწყებს თუ მშვიდობის შემნარჩუნებელს?
2. ეკლესიების მნგრეველს თუ აღმშენებელს?
3. ქრისტიანული რწმენის დამაკნინებელს თუ გამადიდებელს?
4. უცხოურის გამადიდებელს თუ მშობლიურის შემნარჩუნებელს?
5. ადამიანთა ღირსების შემლახველს თუ პატივისმცემელს?
6. საკუთარი ერის დამამცირებელს თუ განმადიდებელს?
7. სამშობლოდან გაქცეულ-გაპარულ დამნაშავეს თუ სამშობლოსთვის თავდადებულს?
8. მსოფლიო არენაზე სამშობლოს იმიჯის დამამცირებელს თუ განმადიდებელს?
9. მშობლიური ენის დამმახინჯებელს თუ მისი სიწმინდისათვის მებრძოლს?
10. ქვეყნის ბიუჯეტის მღრღნელს თუ შემმატებელს?
11. უსამართლო თუ სამართლიანი კანონის შემოქმედს და განმახორციელებელს?
12. მმართველ გუნდთან ადრე მიტმასნილ და შემდეგში განდგომილ პოლიტიკურად მერყევ კარიერისტს თუ ურყევი რწმენის მქონე პირს?
13. ქვეყნის განვითარებით შეწუხებულს თუ გახარებულს?
14. მოსახლეობის გამტყავებელს თუ შემმოსველს?
15. სიცრუის თუ ჭეშმარიტების მქადაგებელს?
16. ქვეყნის მოღალატეს თუ ერთგულს?
17. ქვეყნის მტერს თუ მოყვარეს?
18. პატრიარქის ანუ სულიერი მამის შეურაცხმყოფელს თუ პატივისმცემელს?
19. უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო დაწესებულებათა დამხურავს თუ ახალი ცენტრების გამხსნელს?
20 ძალმომრეობას თუ თანასწორობას?
21. სიძულვილს თუ სიყვარულს?
22. შფოთიან თუ მშვიდობიან ცხოვრებას?
23. ბაქი-ბუქას და ლაჩარს თუ დინჯად მკეთებელს და გონივრულად მებრძოლს?

კიდევ მრავალი კითხვა მიტრიალებს თავში, მაგრამ ყურადღება მივაქციოთ ცხოვრების დინებას. ყველაფერი ცვალებადია, მაგრამ ბოლოს მაინც კეთილი იმარჯვებს.

მკითხველო, ჩაფიქრდი შენც და მიიღე გადაწყვეტილება ხმას ბოროტებას მისცემ თუ კეთილშობილებას.

როცა არჩევნებზე მიხვალ და საარჩევნო კაბინაში შენი სინდის-ნამუსის წინაშე მარტოდ-მარტო აღმოჩნდები, გახსოვდეს, რომ შენს ხმას სასწორის პინას მდგომარეობაზე შეუძლია ზემოქმედების მოხდენა და აირჩიე გზა, რომელიც ტაძრისკენ წაგიყვანს და არა ჯოჯოხეთისაკენ.

ღმერთა მოგცეს უნარი, გაარჩიო ერთმანეთისგან ცუდი და კარგი.

რევაზ გრიგალაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიპიკაციო ნაგებობები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2019 წ. #41,42,44,45,46,47. 2020 წ. #2,3,4,5,6,7,8,9,11,12,13,14,15)

თუ როგორი ზარალი განიცადა მერალიბეგ ციციშვილმა არზაში აღნიშნულია:

„ამ სახასო გლეხების საქონელი - ცოტა თუ ან ბევრი - თეთრი, ვერცხლი ან სპილენძი ან თოფი ან ხმალი ან ქვეშაგები ან ცხვარი ან გუთნეული ან ძროხა ან კანბეჩი ან ამათი სარჩო პური, ღვინო ან ერბო ან ყველი ან სახლის ავეჯეულობა - ესენი სულ აკლებული არის.

ამ ჩემის ყმის გარდა ჩემი საქონელი, მოფენილობა, სპილენძი, ხარი, ძროხა, გუთნეული, პური, ღვინო, კანბეჩი, ტყვია, წამალი, გოგირდი, გვარჯილა, კაჟი, ჯაზაირები - რაც ციხის რიგი იყო, ესეც სულ აკლებული მაქვს.

აზნაურიშვილი და გლეხი არის თავეთის საქონლით 5თ კვამლი, საქონელსა და სახლის ავეჯეულობის გარდა“.

სხვაგან იმავე საკითხზე მერალიბეგ ციციშვილი წერს, რომ პაატა ციციშვილი „კიკნაძეებს მოუძღვა გვერდწითლის ოჯახზედ, თითონ ტყეში დაიმალა. უზნაძე გიორგი, მაღრაძე ყოყია ბელადათ გამოატანა. მეც იქ ვეგულვებოდი. მე გვერდწითლის სახლში აღარ დაუხვდი. გამოვასწარ. იმ ღამეს მოუხდნენ, გვერდწითელი დათუნა მოკლეს. ოჯახი სულ აუკლეს. სოფელი სულ დაატყვევა. საქონელს გარდა ტყვე წაიყვანა ოცდაშვიდი“.

კიდევ პაატა მოუხდა გუჯარეთსა. სამი კვამლი კაცი აჰყარა. ტყვე წაიყვანა სულ თექვსმეტი, საქონელსა და ოთხფეხას გარდა.

ორი მსახური ტბაზე ტბის ყურულისთვინ გავგზავნე - ერთი ი [ე] სე და ერთი მურაძე, სამი გლეხი კაცი თან გავატანე; ეს ხუთნი იქ დაიჭირა და დაყიდა.

კიდევ პაატამ გაყიდა აზნაურშვილი ჩინჩალაძე სულ ოთხი.

კიდევ გაყიდა ქიტაშვილი კვამლი ერთი - სული ხუთი, საქონალს გარდა.

კიდევ პაატამ გაყიდა თავის საქორწილოთა - ალს ხეობაზე ესახლა ჩვენი ყმა - ქართველი, სომეხი და ურია. ტყვე სული ოცდატხუთმეტი.

იქნა ამ ტყვის ჯამი საქონელსა და ოთხფეხას გარდა სული ოთხმოცდათორმეტი“.

რაც შეეხება ზაზა ციციშვილის მიერ საციციანოში დატრიალებულ ამბებს, ამაზე არზაში ნათქვამია:

„მძროვრეთიდამ წაასხა ხატუნაშვილი ოვანაზა კვამლი ერთი - სულ იყო რვა, თავისი საქონლითა.

გოგლიძე ნინია კვამლი ერთი - სულ იყო ხუთი, თავისი საქონლით. ეს გუჯარეთის სარბიელს ესახლა.

ლუკასშვილი კვამლი ერთი - სულ იყო შვიდი, თავისი საქონლითა: ესეც სარბიელს ესახლა.

ბერუაშვილი თავის საქონლით კვამლი ერთი თავ[ი], გუჯარეთს ესახლა, სულ იყო რვა.

ვარდიაშვილი თავის საქონლით კვამლი ერთი, გუჯარეთის რუისს ესახლა. სულ იყო შვიდი.

აზნაურშვილი ქურდევანიძე თავის საქონლით, სული ხუთი.

აზნაურშვილი ჩინჩალაძე სულ ორი.

ფიტარიძე კვამლი ერთი თავის საქონლით, სული ხუთი.

კბილაძე კვამლი ერთი თავის საქონლით, სული რვა.

იქნა ამ ტყვის ჯამი, საქონლის გარდა, ტყვე **ნდ**“.

მერალბეგ ციციშვილი ცალკე მოგვითხრობს დავით ციციშვილის მიერ საციციანოში დატრიალებულ ამბებზე:

„დავით პაპუნა[ს] შვილი მოვიდა ქალაქს, მამატყუა - ერთობა ვქნათო და თავისი მამულის ბატონობა მომცა. თავისი საყმოს მალუჯათი თავს დამადო. პა[ა]ტა და ზაზა ყაზახათ იყვნენ. თითონც ადგა დავით; თავის ყმითა, აზნაურშვილთა. მოუსვა სულ ხელი და კიკნაძეებში გადავიდა. იქიდან მოუძღვა კიკნაძეებეს და მიწობს მოუხდა, ტყვე წაიყვანა ოცდაცამეტი.

სარიძის ცოლი ორსული შუა გააჭრევინა.

საქონელი წაასხა ოთხფეხი სულ, სახლის ავეჯულობას გარდა.

კიდებ მეორეთ მოუხდა წვიმეთს და ხცისა კიკნაძეებითა და აბაშუკლებით დავით, ტყვე წაიყვანა ოცდარვა.

ორი სოფლის საქონელი სულ წაიღო - ღვინო, პური, სახლის ავეჯულობა, სახლები კი დაწვა.

ერთი აზნაურშვილი უზნაძე ელიზბარა ოცდაშვიდი თუმნითა გავგზავნე გვერდწითლის ტყვეების დასახსნელათა, ის აზნაურშვილიც დამიჭირა და გაყიდა და თეთრიც შეჭამა დავითმა.

ბუნიათიშვილმა იასემ, დავითის ყმამ, ორს ჩემს აზნაურიშვილებს ყელები დამიჭრა გვეძინეთს კოშკში და თოფი და იარაღი და ჯაზაირები სულ წაიღეს, ჯაზაირი ორი ვერცხლის, ყაწიმები იმათი.

კიდევ დავითმა და პაატამ გამიყიდა კბილაძის ტყვე თხუთმეთი.

ქურდევანიძის ყმები გაყიდეს დავითმა და პაატამ - სული ცხრა.

კიდევ სკრელი კაკაშვილის ტყვე[ე]ბი დაყიდეს დავითმა და პაატამ სული ჩვიდმეტი.

წმინდის ნკოლოზის ყმა აგარელი დაბრუნდაშვილი ხაბაზი გაყიდეს ტყვე სული რვა, თავისი საქონლითა და სახლის ავეჯულობითა.

კოჩუაშვილი გაყიდეს სული შვიდი თავის საქონლითა და სახლის ავეჯულობითა.

კიდევ მურაძე გაყიდეს კვამლი ერთი - სული თოთხმეტი თავისი საქონლითა და სახლის ავეჯულობით.

კიდევც წვიმეთს აიკლეს და გაყდეს ქვრივიშვლი სული სამი, თავის საქონლით და სახლის ავეჯულობით.

ფრანგიშვილის ყმა გაყიდეს ერთი სული.

რუისელი ბატიყვლიფაშვილი გაყიდეს სული [ორი].

ხვედურელი ალექსიძის რამაზის ყმა გაყიდეს კვამლი ერთი - სული სამი, თავისი საქონლით და სახლის ავეჯულობით.

იქნა ამ ტყვის ჯამი სული ასორმოცდათხუთმეტია საქონელსა და სახლის ავეჯულობის გარდა“.

ეს საბუთები სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის XVIII საუკუნის 40-იანი წლებს დასაწყისში საციციანოში შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე, იმ შინაფეოდალურ აშლილობაზე, რასაც ადგილი ჰქონდა ციციშვლებს შორის და რამაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ძამის ხეობას, მის მომიჯნავე ადგილებს (მიწობს, წვიმოეთს) და განსაკუთრებით კი ძამის ციხეს.



ქართლის სამეფო ტახტზე თეიმურაზის ასვლის შემდეგ (1744 წ.) საციციანოში მდგომარეობა თანდათან სტაბილურ ხდება. სამეფო კარი ცდილობს ციციშვილებს შორის გართულებული მდგომარეობის მოგვარებას. ამაზე დოკუმენტში მერალიბეგ ციციშვილიც მიანიშნებს: „ღმერთმან შეგვიწყალა, რომ ქართლის ხელმწიფობა თქვენ და მამათქვენს მოგცათ. მეფე თეიმურაზ მიბძანა: წადი თქვენს ქვეყანაში, შენდობა ჩამოაგდეო. მეც წყალობას გიზამო. წყალობელი ბრძანდებოდეთ მეფეც და თქვენც. წაველ. ხარაბას ქვეყანაში შენდობა ჩამოვაგდე; მოგეხსენებათ რა ხარჯი ვქენი და ან რა დავხარჯე. ქარელის ციხე ავაშენე თქვენის დოვლათითა“.

ნასოფლარ ძამიდან სათიბების წყლის დინების საპირისპიროდ მიუყვება გზა რომლითაც ნასოფლარ სათიბებში შედის. სათიბებიდან ჯერ დასავლეთისკენ, ხოლო შემდეგ სამხრეთისკენ მიემართება გზა, რომელსაც გუჯარეთში გადავყავართ. შედარებით კარგი გზა გუჯარეთისაკენ ქარელის ძამაზე გადის. სოფელ ტყებლოვანიდან, მარჯვნივ, ქვემო და ზემო შუანოსაკენ მიემართება სამანქანო გზა. როცა ზემო შუანოსაც გაივლი და უნაგირას მთის ძირში მოექცევი, სამხრეთისაკენ მაღლა აზიდულ კლდეზე გამოჩნდება **ალეფნის ციხე**, რომელიც შორი მანძილიდანაც კარგად ჩანს. აქ მარცხნივ უნდა გადაუხვიო და მცირე მანძილის გავლის შემდეგ, აღმოჩნდები ძამის წყლისა და გუჯარეთის წყლის წყალგამყოფი მთის თხემზე. ჩრდილოეთით ძამის წყალი და მისი ხეობაა, სამხრეთით გუჯარეთის წყალი და მისი ხეობა. ციხეს ჩამოუდის ტყემლოვანასა დაშუანოს წყალი, რომელიც ერთმანეთს უერთდებიან ტყემლოვანაში, აქედან უკვე ტყემლოვანას წყალი ერთვის აბუხალოს წყალს და ორივე შემდეგ შეერთვიან ძამის წყალს. ციხეძე მოხვედრა შეიძლება აბუხალოს წყლიდანაც. **ალეფნის ციხე** სამი რაიონის - ქარელის, ხაშურის და ბორჯომის საზღვარზე მდებარეობს.

ვახუშტი ბატონიშვილი გუჯარეთის ხეობის აღწერისას აღნიშნავს: „...სარბიელას - ხევის თავს, მაღალს მთის წუერზედ, არს ციხე ალეწისა, მაგარი და ჭურეტი ქართლ-იმერეთისა“.

ციხიდან იშლება საოცრად ლამაზი პანორამა, ფართო ხედით მოჩანს მტკვრის დაბლობები-და თითქმის მთელი ქართლი, ამბობენ კარგი მხედველობის დროს თბილისის კონტურებიც მოსჩანსო. დასავლეთით ასევე კარგად მოჩანს იმერეთის ხედი.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული ალეწის ციხე თავდაპირველად თორის ფეოდალებს ეკუთვნოდათ, ხოლო შემდეგ, როდესაც გუჯარეთის ხეობა დაიცალა, ციხე ციციშვილების ხელში გადავიდა.

პროფ. დ. ბერძენიშვილი აქ ციხის აგებას განვითარებული ფეოდალიზმით ათარიღებს (XII-XIV სს.), როცა გუჯარეთი განიცდის აღმავლობას (იგივე უნდა ითქვას ძამის ხეობაზეც - თ.ლ.).

„გუჯარეთის ზემო წელზე შენდება ახალი ციხე ალეწისა, რომელიც ძველი თოთხამის და გვირგვინას ციხეთა ადგილს იკავებს. თოთხამი ტანასა და ძამაში მიმავალი გზების უღელტეხილს კეტავდა, ალეწის ციხე კი მხოლოდ ძამის ხეობაში მიმავალ გზებს დარაჯობს. ჩანს, ყურადღების ცენტრმა აქეთ გადმოინაცვლა - ძამის გზების გაცხოველებასთან დაკავშირებით“ - აღნიშნავს მკვლევარი().

ციხე აშენებულია ვიწრო თხემზე, ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხარეს ფრიალო კლდეა. დასავლეთისა და სამხრეთის ფერდობები საკმაოდ დამრეცია, საიდანაც სიმაგრე მაღალი კედლებითაა შემოზღუდული. ამჟამად კედლები ბევრგან გადაქცეულია. წაგრძელებულ მხარეებს ორი მრგვალი ბურჯი ასრულებს. აღმოსავლეთ ბურჯის მხოლოდ ფუძეა შემორჩენილი, დასავლეთისა - კვალი ჩანს. არცთუისე სქელი კედლები ნაგებია რუხი ფერის საშუალო ზომის ფლეთილი ქვით კირის ხსნარზე. სამხრეთიდან კედელს რამდენიმე კონტრფორსი ამაგრებს. ამ მხარეს სამზერი ხვრელია დატანებული, რომელიც წინუბნიდან მომავალ გზას აკონტროლებს.

წინუბანი გუჯარეთის ხეობაში, ციხის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს გზაზე, რომელიც ციხისკენ მიემართება.

ძნელი დასადგენია, თუ როგორ მარაგდებოდა ციხე წყლით, რადგან არც საგუბარი აუზის ნაშთი ჩანს და არც წყლის მისასვლელი მილები. ციხის ტერიტორიაზე ამჟამად სხვა ნაგებობების კვალი არ არის შემორჩენილი. საფიქრებელია, რომ იგი გზების საკონტროლოდ გამოიყენებოდა.

იგი სეზონური ციხეთ არის მიჩნეული, მას მხოლოდ ზაფხულის თვეებში უნდა ეფუნქციონერა, გზების გამოცოცხლებასთან ერთად, როდესაც შიდა ქართლის საქონელი საზაფხულო საძოვრებისაკენ დაიძრებოდა.

ციხე განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების სიმაგრე უნდა ყოფილიყო, რომლის სახელი რევოლუციამდელ რუკაზე „ალერსის ციხე“ - ა. ეს ძველი სახელწოდების ხალხური გააზრებაა, როდესაც ფუნქციამოშლილ ციხეს მოსახლეობა რომანტიკულობის ელფერს ანიჭებდა (შდრ: „ბროლის ციხე“, „ქალის ციხე“ და სხვა)“.

დ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „საინტერესოა, რომ ფიზიკურ-გეოგრაფიულად ალეწის ციხე ძამის ხეობაში უფრია, ვიდრე გუჯარეთისაში, მაშ, რატომღა თვლის ვახუშტი მას გუჯარეთის ციხედ? სესაძლოა, თორელთა მიერ აგებული, იგი მათივე საკონტროლო ციხე იყო თავიდანვე. მერე კი, როცა მას საკუთარი პატრონი აღარ ჰყავდა, აკი ციციშვილებმა მიითვისეს ალეწის ციხეცა და მასთან ერთად მთელი გუჯარეთიც“.

***

ასე, გზებსა და გზაჯვარედინებზე, მდინარეთა ხეობებსა და მთებში გადასასვლელებზე, მიუვალ ადგილებში დგანან ჩვენი ისტორიის მეტყველი მოწმეები, რომლებიც სიცოცხლეს ლეგენდებსა და ისტორიულ ანალებში აგრძელებენ.

გზებსა და გზაჯვარედინებზე, მდინარეთა ხეობებსა და მთებში გადასასვლელებზე წამომართული ციხე-სიმაგრეები და კოშკები ისე მოხდენილად შერწყმიან გარემოს, გეჩვენება, რომ ეს ყველაფერი უფლის მიერ, ადამიანის ჩარევის გარეშე, ბუნებრივადაა შექმნილი. თითქოს ეს მთებიცა და მასზე წამომართული ციხე-კოშკები ერთდროულად წარმოქმნილიყოს. ისე ავსებენ ერთურთს, რომ ჭირს მათი ერთმანეთისაგან დაშორება, მათი ცალ-ცალკე წარმოდგენა, ცალ-ცალკე აღქმა. ისინი ბუნების ორგანულ ნაწილად ქცეულან. ჭირს გარჩევა, სად მთავრდება მთის წვერი და საიდან იწყება მასზე წამომართული ციხე-სიმაგრე თუ კოშკი.

უყურებ მათ და თითქოს ხედავ მათთან დაკავშირებულ ადამიანებსა და მოვლენებს. ეს მოგზაურობას ჰგავს, როცა ერთბაშად გადაიყრება ნისლი და გამოჩნდება ერთმანეთში შერწყმული, არეული ადამიანთა ცხოვრება და მოვლენები. და თითქოს შენც მონაწილე ხდები გონებაში გაცოცხლებული ისტორიული ამბებისა და შენც იზიარებ მათ ბედს.

თ. ლაცაბიძე

რედაქციისგან: დასრულდა მართლაც ძალიან საინტერესო კვლევის ბეჭდვა, რომელშიც ბატონმა თამაზმა დიდი შრომა ჩადო და, ფაქტია, შედეგიც მიიღო. მართებული იქნება ითქვას, რომ შედეგი მივიღეთ ჩვენ, რადგან ეს ნაშრომი თითოეული ჩვენგანის სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს, რადგან „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“. ნაშრომში იმდენი საინტერესო სიახლე და მოკვლევაა, რომ ბევრი ისტორიული მოვლენა სრულებით ახლებურად დაგვანახა ავტორმა. იმედია, ეს ნაშრომი მხოლოდ საგაზეთო ფორმატად არ დარჩება და უახლოეს მომავალში მას წიგნის სახით იხილავს მკითხველი.

სულ ორი კვირა და ოქროსფერი შემოდგომა შემოგვიღებს კარს. ყელეთი. მ. სალაღაიას ფოტო

- ჯომარდობა -

„მომავლის სახლი“ კვლავ გამარჯვებულთა შორისაა

13 ივლისს, ჩითახევში, მდინარე მტკვარზე, გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ჯომარდობაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა შშმ პირებმა. ტრადიციული ჩემპიონატი “აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა”, “ახალგაზრდული მედიაკავშირის” ორგანიზებით იმართება, რომელიც შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციას უწყობს ხელს. “მომავლის სახლის” ბენეფიციარებისგან დაკომპლექტებული გუნდი “მგლები”, მეხუთე

წელია აქტიურად ასპარეზობს აღნიშნულ ტურნირში, გასულ წელს, დამსახურებული პირველი ადგილი და გარდამავალი თასი დაისაკუთრეს, წელს საპატიო მეორე ადგილით დაბრუნდნენ. ღონისძიებას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ნინო აბაიაძე “მომავლის სახლის” მენეჯერი: -გასულ წელს უკეთესი შედეგით ვიასპარეზეთ და პირველობა არავის დავუთმეთ. თუმცა, არც წლევანდელი შედეგით ვართ უკმაყოფილო, ვანის გუნდმა ნამდვილად დამსახურებულად გაიმარჯვა, ვულოცავთ, მოწინააღმდეგე გუნდს ამ

წარმატებას. ეს დამატებით სტიმულს გვაძლევს, რომ მომავალი წლის ჩემპიონატისთვის უფრო მეტად ვმობილიზდეთ და გარდამავალი თასი დავიბრუნოთ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას, მათი თანადგომა და მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ბავშვებისათვის.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.